

1998/20/02

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი  
(ამონარიდნი)

**მუხლი 16. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა**

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა.
2. სამართალწარმოების მონაწილეებსა და სხვა პირებს აქვთ პროცესის დროს სტენოგრაფირების, ხმის ჩაწერისა და სხვა ჩამწერი საშუალებების უხმაუროდ გამოყენების უფლება, თუ ისინი ხელს არ უშლიან სასამართლო განხილვას. პროცესის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღების და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მოცივებული გადაწყვეტილებით.
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპით.
4. საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩაგარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საილუმოების დაცვის მიზნით; პირადი მიმოწერის და საგლეგრაფო შეგყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამის თანახმა არ არის პირი; ბრალდებულის სამართალში მიცემისას. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით განიხილება აგრეთვე: არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულის და სხვა კაგეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინგიმური ან პირადი ცხოვრების საილუმოების შესახებ, როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა. (20.06.2003 N2454)
5. დახურულ სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების წარდგინება (შუამღგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი.
6. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა წარმოებს ყველა საპროცესო წესის დაცვით.
7. სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება.
8. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის დაცვით.
9. 16 წელს მიულწვევლი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.
10. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

(საქართველოს 1999 წლის 13 მაისის N1958 კანონი, „საქართველოს რესპუბლიკა“ N130 18.05.99წ.  
საქართველოს 2000 წლის 5 მაისის N287-III კანონი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N 18 2000 წ.)